ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N45

2018 წლის 23 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე მდებარე 38.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 20.33.01.084) 2 (ორი) წლის ვადით იჯარის ფორმით სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით ფ/პ მერაბ ცეცხლაძეს .

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე მდებარე 38.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი